შაბათი, 3 ღვინობისთვე. № 40—1915

კონსტანტინე გალმოუნტი

მიმავალი ლანდები

მე ოცნებით ვკრეფდი ერთად ლანდებს, მთისკენ მინაშურებს,
ლანდებს მთისკენ მინაშურებს, ფერ დაკარგულ, ბნელი დღისას,
სიხარულით მივყებოდი მოცხცახე საფეხურებს,
მოცახცახე საფეხურებს დიდი კოშკის სიმაღლისას.

და რაც ზევით ავდიოდი, უფრო ცხადად ირკვეოდა,
უფრო ცხადად ირკვეოდა შემოხაზვა შორი გზისა,
და რაღაცა უცხო ხმები ჩემს გარშემო იბნეოდა,
ჩემს გარშემო იბნეოდა ხმები მიწის, ხმები ცისა.

და რაც ზევით ავდიოდი, ანათებდა მეტად სხივი,
ანათებდა მეტად სხივი შორს ამართულ მთის მწვერვალებს,
და ნათება შორეული ვით სინაზე ღვთაებრივი,
ვით სინაზე ღვთაებრივი მიხარებდა დაღლილ თვალებს.

ქვევით ღამე მიდიოდა, ქვევ თ იყო ღამე ბნელი,
ღამე ბნელი მოეფინა მიწას ძილის სიზმრით გართულს,
ჩემთვის კიდევ ანათებდა დღის მნათობი საყვარელი,
დღის მნათობი საყვარელი სცილდებოდა მთას ამართულს.

მივხვდი როგორ უნდა კრეფა ლანდებს მთისკენ მინაშურებს,
ლანდებს მთისკენ მინაშურებს, ფერ დაკარგულ ბნელი დღისას,
მე სულ ზევ თ მივყვებოდი მოცახცახე საფეხუ ებს,
მოცახცახე საფეხურებს საოცნებო სიმაღლისას.

პაოლო იაშვილი

კ. დ. ბალმოუნტი

რუსეთის სახელგანთქმული მგოსანი, დღეს, 3 ღვინობისთვეს, „არტ. თეატ“ დარბაზში „ვეფ. ტყ.“ შესახებ ლექციებს და „ვეფ. ტყ.“ რუსულ თარგმანს წაიკითხავს.

ვ ლ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ე

ბაქოს ქართველობა

ჩვენი ქვეყნის განაპირა ქართველობა ხშირად უფრო მეტს ცხოველ-მყოფელობას იჩენს, ვიდრე შუა გული...

ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, ბაქოს ქართველობა, რომელმაც არარაისაგან რამდენიმე საკულტურო საქმე შეჰქმნა, აგერ ათი წელიწადია ქართ. დრამ. ხელოვნებასაც საძირკველი ჩაუყარა და მის საკეთილდღეოდ ბეჯითად მუშაობს: ადგილობრივ ბევრ ნიჭიერ სცენის მოყვარის გარდა რამდენიმე დამსახურებული მსახიობიცა ჰყავს და ყოველწლიურად ახალ-ახალ პირს იწვევს რეჟისორად. ეს უკანასკნელი გარემოება კი თავდებია სასცენო ხელოვნების აღორძინებისა და სცენის მოყვარეთა განვითარებისა...

წელს ბაქოს დრამ. წრემ რეჟისორად მიიწვია ცნობილი დრამატურგ-მწერალი მსახიობ-რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ბაქოელები წელსაც ხელოვნურად დადგმულ წარმოდგენებს იხილავენ, თუ სცენის მოყვარეთა დასმა ბეჯითი მეცადინეობით და წრემ—საჭირო მოწყობილებისა და იდეური რეპერტუარის მიწოდებით რეჟისორს ხელი შეუწყეს...

იმედია, ბაქოს მუდამ ფხიზელი ქართველობა გულუხვი თანაგრძნობით მოეპყრობა სამშობლო ხელოვნების საქმეს და დრამ. წრეს წელსვე, ამ ათი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობის თავზე, შეაძლებინებს, საკუთარი თეატრის აგებას საძირკველი ჩაუყაროს.

ამ რწმენით მივესალმებით და უსურვებთ გამარჯვებას, როგორც რეჟისორსა და დასს, ისე ქართ. დრამ. წრესა და ბაქოს ქართველობას...

—

„ვინ ხართ—რომელი თვალხილული, არა რა გსურთ?“

ჰხედავს ჩვენი საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების მოუწყობლობას, ვის არ განუცდია ჩვენი ხალხისნური სევდა, იდუმალი თუ ცხადი დევნა შევიწროება, თანდათანი აბუჩად აღება:

— ვინ ხართ, რა გსურთო?

და ეს მაშინ, როდესაც კარგად იციან,—და თუ არ იციან, უნდა იცოდენ,—ქართველი ერის სამი ათასეული წლის ისტორიული ცხოვრება, საქართველოს წარსული სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი თუ საეკლესიო დამოუკიდებელი წყობილება...

ეს ერთი მხრით ჩვენი ბრალიცაა.

ჩვენ თითქმის ყოველთვის სხვათა კეთილდღეობას მტლად ვედებოდით, გზა და ხიდად ვემსახურებოდით, თავს ვევლებოდით ფარვანასავით, საკუთარ მდგომარეობაზე კი ნაკლებ ვზრუნავდით და ჩვენს გაქელვას თვითონვე უწყობდით ხელს...

რაც საქართველომ თავისი ბედი რუსეთს შეუკავშირა, მას შემდეგ მართებლობის წინაშე საქართველოს სახელით მუდამ ქართველი თავად-აზნაურობა ლაპარაკობდა და ისიც არა **მთელი საქართველოს** სახელით, არამედ თბილისის გუბერნიის—ქართლ-კახეთის—ცალკე და ქუთაისის—იმერეთის—ცალკე... ეს დღესაც ასეა.. თავად-აზნაურობა-კი თავისი წოდებრივი თვისებით ისეთია, რომ რაც უნდა მარცხნივ გადიხაროს, ვერასოდეს ვერ გადასდგავს **გაბედულ ნაბიჯს**...

და აკი ისე მიდის ეს მეორე საუკუნე, რომ მას ქართველი ხალხის უსაჭიროეს მოთხოვნილებაზე ერთხელაც არ დაულაპარაკნია ჭეშმარიტი მოქალაქის ენით...

საბედნიეროთ ამას შემდეგ ასე აღარ იქნება...

ძველმა საქართველომ უკვე ფერი ი ვალა: ფეოდალიზმი დაირღვა, ვაჭრობა-მრეწველობა ფეხს იდგამს, მეურნეობა ფრთას შლის, საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე გამოჩნდა ახალი წოდება, თავად-აზნაურობაზე ძლიერი თუ არა—არც სუსტი,—ესაა ვაჭარ-მრეწველთა, ქართველ შერეულ ინტელიგენციისა, ნაწილი სამღვდელოებისა, მუშა ხალხი და სხ., რომელსაც ქვეყნის სვე-ბედის მოწყობაში დიდი ზნეობრივ-ნივთიერი ძალა აქვს, მაგრამ-კი არაფერს ეკითხებიან...

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში

საზოგადოების ამ ნაწილმა წარმოშვა სხვადასხვა სოციალისტური ჯგუფები, რომელთაც ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებას დიდი სამსახური გაუწიეს, არა თუ საქართველოსა და რუსეთში, ევროპაშიც საპატიო სახელი მოიხვეჭეს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო სამშობლოს ყოფა-მდგომარეობის მოწესრიგებისათვის პირდაპირი და არსებითი მოთხოვნილებანი წამოეყენებინა და სინამდვილეში განეხორციელებინა... თვითეულის მათგანის საერთაშორისო მისწრაფება დიაღაც მოსაწონია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგინი შორეულ მიზანს ისახავენ, დღეს-დღეობით კი მთელი საქართველო და მის მკვიდრთა ყოველი წოდების მდგომარეობა ხიფათშია: დიდი მამულები ხელიდან გვეცლება და უმეტესად უცხოთა ხელი გადადის, ანუ იჯარებით თუ სხვა ბრიკებით იქსაქსება, უმიწაწყლობით შეწუხებულ გლეხკაცობას მოსული სჯაბნის, საქართველოს მუშა ხალხს შემოსეულ ნაკლებ კულტუროსანი მუშა ხელი ეკიშპეპა შრომის ფასის დაწევით, სავაჭრო-სამრეწველო დარგებშიაც ძლიერი იერიში მოაქვთ და იშვიათად ჰნახავთ დღესაც კი რაიმე დიდი საიჯარო საქმე ქართველს ჰქონდეს, არა იმიტომ რომ ქართველს შნო და უნარი არ შესწევდეს, არამედ უმეტესად იმიტომ, რომ სხვა ტომის ვაჭარ-მრეწველთა მოხერხებული ქსელებია გაბმული; ქართველთა სულიერი ავლა-დიდება განსაცდელშია; ქართველ მორწმუნეთა სარწმუნოებრივი გრძნობა შებღალულია სამშობლო ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობით, მშობლიური ენა, თეატრი და ხელოვნება სიდუხჭირეს განიცდის და უცხოთა დარაზმული მძლავრი ტალღა წინ ელობება ქართველთა ბუნებრივ და კანონიერ მისწრაფებას...

ვინ, ვინ იზრუნებს ამ ბედ-უკულმართი მდგომარეობის შესაცვლელად?

— თავადაზნაურობა?—

— სოციალისტური ჯგუფები? — როგორცა ვსთქვით,
შორეულ მიზნისკენ მიუპყრიათ მათ თვისი ყურადღება...

დღევანდელმა საერთაშორისო უმაგალითო ომიანობამ არა თუ უზარ-მაზარი ციხე-ქალაქნი დაანგრია, არამედ მთელი ათეული წლობით შექმნილი მოძღვრებანიც დაარღვია: ყველა ქვეყნის სოციალისტებმა ქურქი იცვალეს და იმ სახით წარუდგნენ კაცობრიობას, რანიც ნამდვილად არიან: „ჯერ თავო და თავო — მერე ცოლო და შვილოო! ..“

და ნუ თუ ჩვენ-კი არ შევიგნებთ ამას?

ცხოვრება ძალდატანებით გვიკარნახებს შევქმნათ ისეთი კავშირი, რომლის მთავარი მიზანი იქნება იზრუნოს საქართველოს კეთილდღეობისათვის, ქართველი ხალხის დღემდე შენაძენ კულტურის დასაცავად, და ახალის მოსაპოვებლად, მიწა-წყლის შესანარჩუნებლად და მთელი ქვეყნის წინაშე აშკარად წარსადგომად არა ქართლ-კახეთის ანუ იმერეთის თავადაზნაურთა მხრით, არა რომელიმე დასის სახელით ჯგუფური რეზოლიუციებით, არამედ მთელი ქართველი ხალხი — სსრულიად საქართველოს სახელით საყოველთაოდ გამოსაცხადებლად: ვინ ვართ და რა გვსურს?

როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ყოველივე ეს — ამაზე შემდეგ.

პასუხი

ქრისტესია დგებუაძისას

სტკბები ბუნებით, წალკოტს მჯდომარე,
წყარო გაპკურებს ხანდისხან ცვარებს,
შორს, შორსა ქრიან შენი გრძნობანი,
ვრცელსა ბუნებას უშტერებ თვალებს,—
მე-კი მარტო ვარ, სულით ობოლი,
არ მატკბობს შენებრ ტურფა ბუნება,
ბედმა მიმუხთლა და დამასენა,
მარად ავად ვარ, არ მაქვს კურნება...
ხანდიხან გული გახალისდება,
ავიღებ კალამს, ვიწყებ წერასა,
მოშაგონდება ტკბილი წარსული
და იმა ჰანგით ვიწყებ მღერასა...
იყო ის დროცა, როს დიდ კრებაში
უჩემოდ ლხინი არ იქნებოდა,
იქ ისწრაფოდენ, სადაც მე ვიყავ,
მეჯლისს სიცოცხლე ემატებოდა...

აწ დრო წავიდა, რაღა მომალხენს?
მხოლოდ წარსული მიდგა თვალწინა;
რაღა მომალხენს, რა გამახარებს,
აწ სიხარულსა არა აქვს ბინა..
სისხლის ღვრა არის ყოველ მხარეზე,
დედა შვილს ტირის, შვილი მამასა;
რაღა მომალხენს, რაღა გვრჩენია,—
ცრემლებით გოდებს ყველა ამასა..

ნინო ორბელიანისა

უფსკრულში

უფსკრული იყო ვიწრო, ბნელი, შავი ფრიალო კლდეებით შემოზღუდული. შუა ღამის მორცხვი ვარსკვლავი თუ გაბედავდა ზოგჯერ ჩაეხედა შიგ, თორემ სხვა სინათლის შუქი არ ეკარებოდა მას. გარშემო შემორტყმული ჰქონდა ხელ-უხლებელი გაუვალი ტყე, რომელიც უფრო აბნელებდა უფსკრულს.

როცა ქარი შესწყდებოდა, მასთან ტყეც უკლებდა შრიალსა და დუდუნს, უფსკრულიდან მოისმოდა არეული ხმები: ტირილი, კვნესა, ოხვრა და ამასთან ერთად ძლიერი ხარხარი.

— სინათლე გვინდა, სინათლე! — დროგამოშვებით მოისმოდა ხოლმე იქიდან სუსტი ხმა, რომელიც ძლივს აპობდა სიბნელეს და იკარგებოდა ტყის ბურუღში.

— გესმის, დედა, სინათლეს თხოულობენ? — ეკითხებოდა ყმაწვილი დედას.

დედა და შვილი იდგნენ უფსკრულის პირზე და ყურს უგდებდენ. შვილს ლამპარი ეჭირა ხელში.

— მესმის, შვილო, მესმის... მაგრამ რამდენი მოსინათლე დაიღუპა აქ, რამდენი ლამპარი შთანთქა ამ წყეულმა სიბნელემ!...

— რა ვუყოთ მერე.. გზა დამილოცე, დედილო, გზა: მეც წავიღებ სინათლეს, მეც გავხდე ლირსი ვიყო ერთი მოსინათლეთაგანი.

— სინათლე... სინათლე! — გაიმეორა სუსტმა ხმამ.

და ამასთანავე შეარყია სიბნელე უცნაურმა ხარხარმა.

— როგორ თხოულობენ, როგორ სწყურიან სინათლის... მივდივარ, დედი!

— ჩადი, შვილო, ჩადი... დედა-შვილობის მადლმა ხელი მოგიმართოს... კურთხეული იყოს გზა შენი... მხოლოდ... მხოლოდ, ეცადე თვით ჩაგრულთა შორის გამონახო და გააჩაღო მიძინებული სხივები, შეკრიბო ერთად, და ეს დიდებული მნათობი სვეტი დაამარცხებს უძრავს სიბნელეს, — სთქვა დედამ და ქვითინით ჩაჯდა ბუჩქის ძირას..

ის გარდაეშვა სიბნელის ზღვაში...

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა! — მოისმა ქვემოდან...

გაბრიელ გოგუაძე

სახალხო თეატრის სცენის მოუვარე მ. ინაშვილი

სახალხო თეატრს, დიდან თავისი არსებობისა, ე. ი. 1893 წ-ან, ბევრი თავგანმოდებული მუშაკი გამოსჩენია, ბევრს მთელი ათი-ოცი წლები მისთვის შეუწირავს სრულიად უგრძნობელად და ხშირად თვისუფალ დროს კარგა, ნივთიერადაც წახმარებია. მუდამ უანგარობ უწევია სახალხო თეატრის სცენის მოუვარის მძიმე ჯაჭანი. ერთი ამგანია, მანაშვილი, რომელმაც 11 წ. შრომა შეიტანა სასალხო თეატრის საქმეში. სცენაზე გამოვიდა 1904 წ. შალვა ანდიანის რეჟისორობის დროს ავჭალის აუდიტორიაში და რკინის გზის თეატრში (უმთავრეს სახელოსნოს ახლო). ყოველს გამართულს წარმოდგენას გულ-მხურვალედ ეკიდებოდა. კარგა ამისა მონაწილეობდა სხვა უბნების წარმოდგენებშიც: 1908 წ. მიწვეულ იქმნა ვალაბრის სცენის მოუვარეთა ამხანაგობაში ვ. ურუშაძის რეჟისორობის დროს. იმ დიდან მოკიდებული ხშირად მონაწილეობდა როგორც ვალაბარში, ისევე ნაძალადევში, მაგრამ იმისი მუდმივ ბინა იყო ავჭალის აუდიტორია, რკინის გზის თეატრი და ბოლოს ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

გარდაიცვალა ჯერ სრულიად ახალგაზდა 30 წ, მიწას შაბარეს 22 ენკენ. და სახალხო სახ. წარმოდგენების გამმართველ წრის გამგეობაც იმავე თვის 27 ზანაშვიდით გამოეთხოვა თავის საყვარელს სცენის მოამაგეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მეგობარო მიხეიდ: გწამდეს, რომ შენი სახელიც ადბეჭდილი იქნება სახალხო თეატრის ისტორიის ფურცლებზე. **გიორგი ჯაბაური**

გოგოთურ და აფშინა

(დასასრული. იხ. „თ. და ც“ № 36-39)

3) გოგოთური თავისი სახლის ჭერქვეშ

ომის ჟამს ომი და ომის გარეშე მშვიდი შრომა და ჯანდრეის გარჯა—შეადგენდა გოგოთურის ცხოვრების სტრფიალოსანს. ვაჟა ამბობს, რომ გოგოთური

„შინაც ხომ ლქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხვნელია.
ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა (და)—ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!“

შეშას თვით ზიდავს ტეიდამ:

„ვეება ჭანდარს აიღებს,
წინ წკრადგაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედა!“

თავისუფალს დროს ნადირობითაა გართული:

„ირმებსაც დაედევნება
ყოფჩის (გორაკი) გადაღმა კვალზედა.“

დევგმირი გოგოთური მუსიკის და სიმღერის მოყვარეცაა:

„შემოღამდება, შინ მოდის,
ჩამოუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქცევადა
დიდი ყალიონის წევასა,
ფანდურსაც (სიმებიანი სკრავი) ჩაეჟ-
ღარუნებს,
თითს აარჭამებს (ახმაურებს) ბერასა,
ხანდახან დააბუბუნებს,
ჭერი დიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი,
მიდამო იწყებს ნთქრევასა“. (ნძრევასა).

ზ) **გოგოთური და მისი ცოლი.** მთიელთა შეხედულებით დედაკაცს უფვარს უბედობა, გულის წადილის აყოლა და სურს, რომ მისმა ქმარმა შეიძინოს სახელი. იმას არ დაგიდევს მტეკანია თუ მართალი სახელის შეძენაში:

„თუნდ ხალხს სცარცვავდეს შარასა,
ცოლსაც სწყალობდეს, აცმევდეს,
წითლის დარაის კაბასა“

ასეთი იყო გოგოთურის ცოლიც. ის ჩაეცინა ოთვის ქმარს გაიდეს სახლიდან:

„წადი, შენც ვინმე გასცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?..
მტერსა თავები გაბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა;
ამბობენ აფშინის ცხენს
ტანი სულ ვერცხლით ეფარა!“

გოგოთურის შეხედულებით ქალის საქმე „რა-ომის და თოფ-ხმლის შესახებ დაბარაკი:

„ის უნდა საჩეჩელს უჯდეს,
ან არა—ქსოვდეს წინდასა.
ჩემი ფრანგული (ხმალი) მტერსა ჰკლავს
ძმაზე არა აქვს ხელია!...
თუ კი ავსული არა ხარ,
ეგ საყვედური რა არია!..

ცოლი მისი შესანიშნავია ერთი მხრით: სურს, რომ მისმა ქმარმა შეიძინოს ქონება, სიმდიდრე. ის ეუბნება ქმარს:

„ლაშქრობამ რა მოგიტანა,
ტანზე წყლულების მეტია.
მარტო სახელი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ხვეტეა?!

მთიელის ცოლს ამოქმედებს სადი, პრაქტიკული მოსაზრება, რეალური საჭიროება. ასეთი თვისება შერჩენია დღეს ქართლ-კახეთის ქალს, რომელიც ქმარეენაკლებგამოფლანგავია, ნაკლებაბუქა მას აქვს წინდი თვის ქმრის ნიეთიერი გაძლიერების საზრის მოსაპოებლად. მართალია, გოგოთურის ცოლის მიერ ნაჩვენები საზრი (ცარცვა) უზნეოა, მაგრამ ჩვენთვის ეს მხარე კი არაა საინტერესო, არამედ ის, რომ ქართველ ქალში ძლიერია სურვილი ქმრის ნიეთიერი გაძლიერებისა. დრო მ გა და შეიცვლება ჭეზრი საზრის შესახებ, და ამ საზარს ექნება

ზნეობრივი ელფერი (კაიხსენეთ ოთარაანთ ქვრივი). კოკოთური ქართველი რაინდია, სახელმძღვანელი, მამულის დამცველი. ვაჭრობისა და მრეწველობისთვის არ სცალია... სწეურია ომი და ომს კარეშე მისდევს მიწის სვნას და ნადირობას... დღესაც კარგია ჯანის სისადე, არა ნაკლებ კარგია გმირობა, მაგრამ მარტო ამითი ქართველი შორს ვერ წავა. მისთვის საჭირო ცხოვრების სხვა ფაკტორებიცა! ვაჭრობა და მრეწველობა რაიც მას მისცემს ცხოვრების არსებობას კუმაკრებს, კუფართოებს სოფელ-მხეხველობას და ნიავქარი ისტორიისა მას ვერას ვერ ანებებს. ეს მეორე მხარე ცხოვრებისა, მეტად მნიშვნელოვანი, ვაჟას ნაწერებში ნაკლებ ეურადღებას იქცევს. ცხადია, ვაჟა-ფშაველა რომანტიკოს-იდეალისტია, მისი ეზოზია ქართული რომანტიზმის უკანასკნელი ამოძახილია... ნიგოიერ სახსარს მოკლებული ერი, რაც უნდა კეთილ-შობილურ მისწრაფებით იყოს კამსჭვალული, ვერაფერს მოაკვარებს თავისთვის..... სწორე ამ მეორე მხრით საეურადღებო არის ბ. წერეთლის „ბირველი ნაბიჯი“, იდიას: „ოთარაანთ ქვრივი“ და ევდოშვილის ბოეზია.

ვაჟა ფშაველას გმირები.

ვაჟა ფშაველამ, როგორც, რომანტიკოსმა, თავისი გმირები ადმოიდო საქართველოს წარსულიდამ, როდესაც მის ცაზე თავისუფლების მზე ანათებდა. ეს გმირები მთების შვილნია.. მთიელნი ნაკლებ განიცდიდნენ სხვა და სხვა კულტურის გავლენას.. მათი ხასიათის უმთავრესი ნაკვთები შეუცვლელი რჩებოდა. ბერის ქართველთა უმთავრესი დირსებანი — მთიელთა შორის უმაღლეს წერტილამდის იყვნენ განვითარებულნი. მეოცე საუკუნეში მთიელთა წარსული დროის გმირების დასურათხატება ვაჟას მიერ შეიძლება ზოგიერთს ეჩვენოს არა სასურველ მოგზენად... შესაძლოა ზოგმა თქვას, რომ ეს გმირები ნაკლებ პროგრესიული ჭარიან, ჩვენ ისინი მისაბაძს მაგალითებად ვერ გამოგვადგებიან. ეს მართალია პირველი შესედვით მაგრამ თუ დავაკვირდებით უფრო ღრმად, ვაჟას ძველ გმირებში ძლიერი სული ტრიალებს, ღონიერი მაჯა სცემს, კეთილშობილური გული სძგერს. მათნი მისწრაფებანი უმაღლესის კეთილშობილურნი არიან, მისაბაძნი კულტურით თავშოფწონე დღევანდელ ქართველთათვის. ცხვრის ტყავით მოსილი და წუდა-ქალაქმნიანი მთიელი ამ საკითხში კულტურასანი ქართველის მოძღვარი სჩანს. მას უმოძღვრებს სიგაუკაცეს, გაჯანსაღებას, სამშობლო მიწის და თავისუფლების სიყვარულს, სიამაყეს, თავმოფწონობას, მოსობის წინაშე ქედმოუხრელობას.. საქართველოს პოლიტიკური ბედის ცვლილებამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დრმად დაადო მოიელნი, მაგრამ ვერ მოუკლა მათ ტრფიალება თავისუფლებისადმი. დღესაც მოიელი გულ-მაგარია, მედიდურად სდგას თავის ალაგს და იმედით შესცქერის ცას... ის ნაკლებ გადასხვაფერებულია უკულმართი დროის ხელით, ნამდვილი ძველი ქართველია, რომლის სადი მსჯელობის და დავისუფლებით მოსილი სოფელმხედველობის საძირკველზე უნდა აშენდეს საქართველოს მეობადის შენობა... ამ მხრით რომ გავსინჯოთ ვაჟას გმირებს აქვსთ საკმაზრდელო მნიშვნელობა იმ ქართველთათვის, რომელთაც უკულმართმა დრომ თვისი გამათახსირებელი დადი დაასვა. ვაჟა ფშაველას ნაწერთა კითხვის ყამს მკითხველი ტრიალებს ქართულ მიწა-წყალზე, ქართულს ჭვერს სუნთქვს, ქართულ სურათებს ჭხედავს, ქართულ ბუნებას სჭვრეტს, ქართულს მსჯელობას და საუბარს მოისმენს რის მეოხებითაც მის სულს შეეძინების ქართული გონოფიერება და მისი ჭკვა ქართულად მსჯელობს, ჭაზროვნობს და საუბრობს...

ილ. ფეიაძე

ცოდვამ უწია!...

I

საღამო ხანი იყო...

უცებ ჩვენი მეზობლის ეფემი ს წიოკობა შიმომესმა: — „აი მიწა გაგისკდეს“ და ჩაგიტანოს, შე გაუმაძღარო, ქვრივ-ობლის ცოდვის მზიდველო!..“

— წლეულ რა გეცლია, ნათლია დიმიტრი, მითომ რა იქნებოდა! მაინც ხომ ხელში გიჭირამს. — მოისმა ვიღაცის ხმა.

— გეცლია რომელია, კაცო? — იყო პასუხი — ამ ერთ თვეში თუ სამასი თუმანი არ ჩაუთვალე ჩემ სიძე-ბატონსა, ქალზე ხელს იღებს, ხელს, იცი თუ არა?

— ქალი შენ და წითელი ქარი, შე კომლოსა ამოსაწყვეტო: ჩემ გასათხოვარ ქალებს რაღა პასუხს აძლევ? წიოკობდა ეფემია.

მე გადავირბინე, ეფემიასთან, რომ ჩხუბის მიზეზი გამეგო. გადაველ და ის შენ მტერს, რაც იქა ვნახე. სასოწარკვეთილ ეფემიას გარს შემოხვეოდა მისი სამი ქალი და, თითქოს გაქვავებულანო, ხმას ვერ იღებდენ.

— რა დაგემართა, ეფემია, რა მოხდა,— ვკითხე.

— ეჰ, რაღა რა მოხდა, ჩემო ნინო,— მომიგო: აგერ შიმშილი მომდგომია, ზამთარი კარს მირაკუნებს, ცალი ბისტი არ გამაჩნია, პური არ მაქვს, შეშა და ტანთ-საცმელი, შვიდი ჩაფი ღვინო იყო, იმით უნდა გამომეკვებნა შვილები მთელ წელიწადში და ის უკანასკნელი საზრდოც გამომტაცა ხელიდან იმ წყეულმა, საწყალი ხალხის მყვლეფავმა...

— ვინა, ქალო?

— ვინა და—ი ჩვენი სოფლის სვავმა, სულწაწყმედილმა დიმიტრიმ. პრიტავი მოიყვანა და რაც კი გვებადა—აგვიწერა, ჩვენ კი თვალ-ნაცრებიანი დაგვყარა... ნეტა მიცემული მაინც არა-მქონდეს: ბარე სამჯერა მაქვს მოშორებული... ღმერთო, შენ მოსპე ქვეყანაზე დიმიტრი და მისი ცოლშვილიმც მენახოს ჩემ დღეში...

იწყევლებოდა ეფემია, საშველად ღმერთს იწვევდა მაგრამ დიმიტრის პასუხის მომთხოვი არავინ იყო: არც ღმერთი, არც ხატი, არც მამასახლისი... ეფემიას შიოდა თუ სციოდა, დიმიტრისთვის ერთი იყო, ოღონდ თავისი ჯიბე გაეტენა, რა გზითაც უნდა ყოფილიყო. ბევრს, ძლიერ ბევრს ეფემიასთანას აატირებდა ხოლმე ყოველ შემოდგომაზე: საითაც გაივლიდით, დიმიტრისადმი წყევლა-კრულვა გესმოდათ, მაგრამ ის ბაი-ბუთაც არ იმჩნევდა.

II

ვინ იყო დიმიტრი?

იგი სოფლის ერთი უსწავლელი გლეხი იყო, მამა-პაპისა ბევრი არაფერი დარჩენოდა, მაგრამ თავის მოხერხებით იმდენი შეეძინა, რომ მთელ სოფელში პირველ ოჯახის შვილად შექმნილიყო. სხვა გლეხებივით დღე-და ღამ ოფლის მოწურვით კი არა შრომობდა, არა! ორიოდე მოგროვილ გროშების გასესხება დაიწყო, მალე თანხა გაიჩინა, თუმანს ათხუთმეტ შაურად ასესხებდა, თავს სარგებელს აკეცდა, თანაც ნეუსტოიკებს უწერდა საწყალ გლეხებს და უკანასკნელ ლუკმას სტაცებდა. მართალია, გლეხი იყო, მაგრამ სქელ ჯიბეს უკეთე მებატონედ შეექმნა და თამასუქებით სოფელში ყველა ყმად გეხადნა: როგორ იქნებოდა, რომ სარგებლისა და თავნის აღების გარდა, ყველა მოსახლე გლეხი ვენახში, ყანაში ანუ სხვა საქმეზე წელიწადში რამდენიმე დღე კიდევ არ ემსახურებინა! ყავდა კაი ცხენი, ხან აღმა დადიოდა, ხან დაღმა და, ამა სოფლის ბობოლებთან დაახლოვებული, თავის მოძმე გლეხებს მედიდურათ დაჰყურებდა.

დიმიტრის ორი ქალის მეტი არავინ გააჩნდა.

თუმცა თავის ძუნწობით ქალებს სწავლა-განათლება ვერ მიაღებინა, მაინც უფროსი ქალი ერთ კუდა-აზნაურს მიათხოვა, გაატანა ბლომა ფული და მზითე-ვი. თავი იმით უფრო ესახელებოდა, რომ სიძეს ათ-ათ თუმნიანები ჩაუთვალა... ახლა მეორე ქალს ათხოვებდა ქალაქს, რადგანაც მაშომ მტკიცედ განაცხადა მე კაკარდიანი ქმარი შემფერის, სოფლელი ოტროველი რა ჩემი საქმროა. დიმიტრიც დაჰყვა ნებას. ვიღაც უცხო ტომის კაკარდიანი და ბჭყვრიალა ღილებიანი სასიძო მოუყვანეს და დაარწმუნეს: დიდებული ვინმე, კაი სამსახურის კაციო.. დიმიტრიმ ჩაუთვალა სამასი თუმანი და გადაიხადა ს.ხელოვანი ქორწილი, რომ ყველას დახსომებოდა.. ნასიამოვნები იყო დიმიტრი, მაგრამ ხანგრძლივ-კი არა..

III

ერთხელ დიმიტრიმ მაშოსაგან შემდეგი წერილი მიიღო: „ჩემო ძვირფასო მამა, გთხოვ ჩქარა მომხედო, თორემ საქმე ცუდათ არის. მიშა მუდამ ლოთობს, ვიღაც ქალებს აჭყვა, ღამე გვიან მოდის. დღე არ გვაძრომ არა მცემოს ხოლმე.. ჩამოდი, თორემ მერე გვიან იქნება.“

შენს მტერს, რომ დიმიტრის წელი მოსწყდა.

თურმე კაკარდიანი სიძე, რომელიც თავიდან-ბოლომდის ბეჭყვრიალებდა, ვიღაც ცუღლუტი პატარა მოხელე ყოფილიყო, ამსახურიდან გამოგდებული. დიმიტრის სამასი თუმანი ნენელა გამოეიდნა ბანკიდან და, როგორც მშიერ თაგვს შენახული ნიგოზი, შეეჭამა. დიმიტრი რომ დარწმუნდა — აღარ არის ბანკში შეტანილი ჩემი ქალის ფულები, თითქოს ტყვიით გაუგმირეს გულიო, მუხლი მოეკვეთა, წელში მოიღუნა, დარდით და ბოღმით აივსო.

— ვინ, ვინ გამომჭრა ყელი? როგორ გაბედეს და ზნე-დაცემული კაცი შემამატყუეს!... განა იმიტომ დავღუპე ამდენი ხალხი, რომ ვიღაც სალახანას გაეფლანგა ასე წვა-დაგვით ნაშოვნი ფულიო?! — ჩინოვნიკი მინდაო, — ეგეც შენი ჩინოვნიკი, გაბრაზებულმა დიმიტრიმ ქალს უსაყვედურა, მაგრამ მერე თითონვე ინუგეშა თავი:

— მტერს მაინც არ გავახარებ, ვეცდები ისევ დავიბრუნო ჩემი ფულებიო, — დიმიტრიმ დაიწყო ვაჭრობა, შუამხანაგდა მიკიჩ მიკიტანს, მაგრამ ამხანაგმა მალე ცალიერზე დასვა, დიმიტრიმ ბოღმას ვეღარ გაუძლო, ულმობელმა სიკვდილმა ჩქარა გამოასალმა წუთისოფელს, და მისი ნაოხარი დარჩენილი ქონება უფროსმა სიძემ მიითვისა, მით უმეტეს რომ მეორე სიძე ამ დროს ცმბირს იყო გადასახლებული ერთი გარყვნილი ქალის გაცარცვისა და მოკვლის გამო...

დარჩა უმწეოდ მაშო, უსწავლელი და უქონელი; ხშირად შიმშილით კუჭი ეწვოდა, სოფელში-კი წასვლას ვერ ბედამდა ერიდებოდა, მაგრამ მეტი გზა არ იყო: მეტის-მეტმა სიღარიბემ სამშობლოსკენ დააბრუნა.

ერთხელ მაშო სოფლისკენ მიდიოდა დაღონებულ-დაძმარებული. ეფემიამ რომ დაინახა თავის ამნიავებლის ქალი, პირიქით შეიბრალა:

— უბედურს ცოდომ უწია, ნაარმეი არ შერჩაო, ჩაილაპარაკა.

სოფლის ახალგაზდა ბიჭებმა კი მთ დამწუნებულ მაშოს ლექსი გამოუთქვეს და ფანდურზე დამღერენ ხოლმე:

ფულით მდიდარს, გულით ღარიბს.
არ მოსწონდა ტეტია.
ჩინოვნიკი შეირთო,
მითომ გლეხზე მეტია,
ახლა ზის და თვალებს ითხრის,
თავს ესხმება რეტია;
ვი ვინცა მაღლა ჰფრენს,
ძირს ვერ დაუხვდია...

ანნა ვენეკიანი

* * *

უკანასკნელი ყვავილიც კი თავს ხრიდა დაბლა,
ნიავი ფოთლებს უამბობდა ქვეყნის სიავეს;
სული ობოლი მისტიროდა შორეულ წარსულს,
ვეღარ იტევდა, მახსოვს, გული სევდას და ნაღველს...

რასაც ვეტრფოდი, სამუდამოდ ჰკარგავდა ნდობას,
აღარ ვუყვარდი წუთის სოფელს, ბედ-დაკარგული;
ულვთოდ, უმიზნოდ, მწარე გესლით სწამლავდნენ
გრძნობას...
ო, რომ იცოდეთ, რა საშინლად მტკიოდა გული!..

ქნარი

სათინიკ ადამიანი (1895-1915)
სომეხთა უმაღლესი განათლებით აღჭურვილი ცნობილი მსახიობქალი, დაიბ. 1895 წ. 17 ენკენ. თბილისში გარ. წელს, ივნისის 17.

ილია ჭავჭავაძე (ახალგაზრდობაში).
„ვიდგე მარტოკა... და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება, ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..“

ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ 39)

II

კოტე, გიორგი და სანდრო

(შემოდიან მარცხნით)

კოტე (ძლიერ დადონებული, გაჩერდება და ათვალიერებს) ჯერ არავინ მოსულა ეგ კარგია. ცოტას დავისვენებ. (სანდროს და გიორგის) რამდენი რამ გადამხდა თავს და ჩემს გულს შიში არ უგრძვნია, დღეს-კი რ ღაც სხვანაირათ ვგრძნობ თავს, თითქოს მეშინია კიდეც.

სან. (დიმიდით) რაფერია, გაივლის. ეგრე იცის როცა რაიმეს მოელი და ემზადები.

გიორ მე დარწმუნებული ვარ შენი ტყვია არ ასცდება აპოლონს.

კოტე (მწარე დამიდით) კარგი დაგემ.ოროს, მაგრამ ვაი თუ **აპოლონმა ჩემზე უკეთ** იცის (როლი?!

სან. (სიცილით) ვინა? აპოლონმა? ისეთი კაცი ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს. ჯერ თოფი ხელში არ აუღია, გასროლაც არ იცის.

კოტე. ეს შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამ ერთ კვირაში მან მშვენიერი (როლა ისწავლა და მისი ტყვია ჩემი ხვედრია დღეს.

სანდ. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ეს კი არა.

კოტე. (გამოართმევს დამბაჩას სანდროს და უმიზნებს) ეს ოხერი თითქოს სულ დამავიწყდა სროლა. რაც სამხედრო სამსახურს თავი დავანებე, ოცი წელიწადი იქნება და მას აქეთია ამ ოხერ რედაქციაში ვზივარ. სულ ყველაფერი დამავიწყდა.

გიორ. სანამ არ მოსულან, შეგვიძლია. ვივარჯიშოთ.

კოტე. ეგ ძლიერ კარგი იქნება. (იხდის სერთუქს. დამბაჩა ხელში უჭირავს. **გულზე** ხელს დაიდებს) ვერ **წარმოიდგენთ** როგორ მიღრინავს **ეს** ოხერი **გული**.

სანდრო (გაჯავრებით) ერთი შენც დაგიჟინია გული და გული, ისტერიკა არ მოგივიდეს, ვაჟკაცი არა ხარ? რამ შეგაშინა? (მიდის მეორე მხარეს და დაუდგება წინ)აი, მე აქ დავდგები და შენ დამიმიზნე.

გიორ. (გაჩერდება შორი-ახლოს) სანდრო ნიშანს მოგცემთ.

კოტე. (წელში გაიმართება, ასწევს დამბაჩას და უმიზნებს. ჩქარა ისევ ჩამოუშვებს ხელს) ეს ოხერი ხელი როგორ მიკანკალებს.

სანდ. (გაჯავრებით) მიკვირს ღმერთმანი რა მოგდის დღეს. თუ ასე დაიწყე, უთუოდ აპოლონის წერა გახდები.

კოტე (გიორგის და სანდროს) იცოდეთ, თუ მოვკვდე, გაზეთი სხვას არავის გადასცეთ, არავის ჩაუგდოთ ხელში, თქვენ ორთავემ მოუარეთ. ეს არის ჩემი ანდერძი სხვა არაფერი.

გიორ ფიქრი ნუ გაქვს, გაზეთს ჩვენ არავის დავანებებთ.

სანდ. ცოცხალის თავით არავის დავანებებთ!

კოტე აბა, დავიწყოთ. (ასწევს დამბაჩას და უმიზნებს დიდხანს ჰაერს გვერდზე მიიბრუნებს და ნელის სმით ამბობს) „მირბის, იმრინავს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...(ოთხი სტრიქონი)

სან. რას ამბობ?

კოტე. არაფერს. (უმიზნებს ისევ და განაგრძობს „მერანი“-ს კითხვას) „გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი დანიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“.

სან. (გაჯავრებით) რას ამბობ, რას? მე მეკითხები რამეს?

კოტე. არა. (ჩამოუშვებს დამბაჩას)

გიორ მე ხომ არაფერი მკითხე?

კოტე. არა.

სანდ. (გაოცებით) მაშ ვის ელაპარაკები?

კოტე ჩემთვის ვლაპარაკობ.

სანდ. როგორ თუ შენთვის?

კოტე ბარათაშვილის „მერანს“ ვკითხულობ. ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩემი სათაყვანებელი პოეტია, მე ის ძლიერ მიყვარს. მისი „მერანი“ ამ ქვეყნად ყველაფერს მავიწყებს. როცა მას ვკითხულობ, ისე მგონია ამ ქვეყნად არა ვარ და სადღაც შორს ზიმაფრენს ჩემი რაში.

სანდ. (დიმიდით) ჰოო, ეგ ძლიერ კარგია, ასეთ ტრაღიკულ მდგომარეობის დროს ძლიერ კარგია ყურადღების სხვა რამე საგანზე შეჩერება და სინამდვილის დავიწყება. აბა განაგრძე.

კოტე (უმიზნებს) „გასწი, მერანო...

გიორ. ერთი!

კოტე. „შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი.“

გიორ ორი

კოტე (უმიზნებს და ცახცახებს)„ გასწი მერანო!“

გიორ. სამი!

კოტე (დაატემინებს ჩახმახს) მგონია კარგი იყო.

სანდ. (სიცილით) ყოჩაღ! ყოჩაღ, ჩემო კოტე. გეტყობა გამოცდილი მსროლელი ხარ. სწორედ მუცელში მიმიზნებდი.

კოტე (მწუხარებით) მე მგონია ავაცდენ. ეს ოხერი ხელი მიკანკალებს.

სანდ. მაგრათ დაიჭი, მაგრად!

კოტე. (უმიზნებს) მაგრათ მიჭირავს, მაშ რა ოხრობაა. (ამ დროს შემოდიან ანჯოდონ, იდარიონ და მეორე სეკუნდანტი. ანჯოდონი გზაში ელაპარაკება იდარიონს)

Ш

კოტე, გიორგი, სანდრო, აპოლონ, ილარიონ და მეორე სეკუნდანტი

აპოლ. (კოტეს და მის ამხანაგებს ვერ სედავს) ჩემს დღეში არც თოფი და არც რევოლვერი ხელში არ ამიღია. არც კი ვიცოდი გასროლა. (დაინახავს კოტეს და შეკრთება. უკვლანი გაჩერდებიან. იდარიონ და მეორე სეკუნდანტი მიეფლენ და ხელს ჩამოართმევენ კოტეს, გიორგის და სანდროს, სანდრო და გიორგი ანჯოდონს. კოტე და ანჯოდონი ოფიციალურად შორიდან დაუქნევენ თავს ერთმანეთს. ტოტა ხანს სეკუნდანტები რაღაცაზე ჩუმად დაპარაკობენ, შემდეგ წინ წამოდგება სანდრო)

სანდ. (მიმართავს ანჯოდონს და კოტეს) ბატონმა კოტემ პირად შეურაცხყოფისათვის ბატონი აპოლონი დუელში გამოიწვია, ფორმალურად ყოველივე შესრულებულია. ორივე მოწინააღმდეგე პირის პირ დგანან, მხო-

ლოდ დამბაჩების გასროლა აკლიათ, რომ ერთ-ერთს მზე დაუბნელდეს, როგორც ერთი ისე მეორე ძვირფასია ჩვენი საზოგადების და მთელი ერისათვის. ერთ-ერთის დაკარგვა აუნაზღაურებელი დასაკლისია, ქართული ლიტერატურის, ქართული ხელოვნების, ქართული ცხოვრების, ოჯახისა და მთელი ერისთვის. ჩვენ მოწმენი ვიქნებით ამ საზარელ ტრაგედიის, ამიტომ თვითოეულ ჩვენგანის ვალია ვეც დოთ თავიდან ავიცილოთ ეს მოულოდნელი უბედურება წინადადებას აძლევთ, ნუ მოახდენთ სისხლ-ს ღვრას, თავი დაანებეთ დუელს და შერიგდით. (ყველანი კოტეს და ალბოდინს მისჩერებიან)

ილარ. რას იტყვით თქვენ, ბატონო კოტე?

კოტე (ეარის ნიშნად თავს აქნევს)

ილარ. არ გსურთ შერიგება! თქვენ ბატონ?

აპოლ. (ეოემანობს, მაგრამ ბოდიშს თავს გაიქნევს ეარის ნიშნად)

სანდ მაშ გადაწყვეტილია. უნდა მოხდეს დუელი, საერთო გადაწყვეტილებით სროლა უნდა მოხდეს ათი ფეხის ნაბიჯზე, ისვრით დამბაჩებით. (სეკუნდანტები სინჯავენ დამბაჩებს. შემდეგ გიორგი ერთ დამბაჩას კოტეს მისცემს და მეორეს ალბოდინს. გაზომავენ ათი ფეხის ნაბიჯს და დაუყენებენ ორთავეს პირდაპირ). მაშ მოემზადეთ! ნიშანს მოგცემთ ნიშანი იქნება „რაზ, დვა, ტრია", მესამეზე უნდა ესროლოთ ერთმანეთს. მოემზადეთ (კოტე და ალბოდინი საშინლად ცახცახებენ და წყალში იმბრეებიან)

გიორ. (დადგება შუა ადგილას, დანარჩენები ერთად დგანან და თვალეურს ადევნებენ კოტეს და ალბოდინს) დაუმიზნეთ! (კოტე და ალბოდინი დამბაჩებს დაუმიზნებენ და ერთ და იმავე დროს დაბრაკობენ)

აპოლ. (ახალად ცახცახებს, პირს მარცხნით მოიბრუნებს და კანკალით ამბობს) „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი ლაშქართ მრავალი ყმიანი".

კოტე (ამავე დროს თავისთვის დაბაბრაკობს და უმიზნებს. პირი მარჯვნით აქვს მობრუნებული) „მირბის, მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მიმჩანავის..." ჰმ! ჰმ! (დაავიწყდება) ოხ! ღმერთო რა დროს დამავიწყდა. (ბუტბუტებს)

გიორ. (ხმა მაღალ ეგირის) „რაზ"! (ალბოდინი და კოტე უფრო ცახცახებენ და სხვა სხეუბით იმეორებენ დექსებს)

აპოლ „იყო არაბეთს როსტევან" და სხ.

კოტე. „გასწი, მერანო შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი და ნიავს მეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი". **პ. ირეთელი**

(დასასრული იქნება)

თბილისს

(უძველნი ქართველ მოწინავე პირებს—ინტელიგენციას)

თბილისო, გახდი ახლა ჩემთვის დედინაცვალი
და შენ ასეი შხამ-ნაღველი, უზომო, მწარ.ი...
თუმც ასეა, ჩემო თბილისო, მაინც მიყვარხარ, —
წინსვლა გეტყობ გარეგნობით, შიგნით კი ყარხარ!
შემოხიზნულთა ნამდვილ დედად —მეგობრად ქმნილხარ,
ზოგიერთი დევ გმირის ბრძოლის ველი ხარ...
ბიშ ლენ ძვ ლეურად ქართველთა ძენი:
ერთობის ნაცვლად გაგვიმწარეს ცხოვრების დღენი.
გაახშირეს ერთმანეთში მტრობა და შური,—
თავი მოსწონთ, — მათ ჰგონიათ ეს სამსახური.
ვინ ვის სჯობსო, დღე ყოველ ამას ცილობენ,
მშობელ ქვეყნისთვის არა სწუხან, არას ფიქრობენ!
ვერა ხედავენ, რას განიცდის დღეს ჩვენი ერი,—
კარზე მოგვადგა უთვალავი, ურიცხვი მტერი!
ჰსურთ რომ წაგვართვან"-ცა ფირუ-ზურმუხ ი"მხარე,
დღეს ამას ვსტირ, ამაზე ვარ მეტად მწუხარე...

ვასილ კირვალიძე

პრაპ. გიორგ. წითლანაძე
დაჭრილია და ტყვედ წაყ.

მსახიობი და მისი ამპლუა

ბევრისაგან გამიგონია: მსახიობმა, განურჩევლად—ყოველგვარი როლი უნდა შეასრულოსო! მე ეს ყალბ და მასთან დაუფიქრებელ აზრად მიმაჩნია. ბევრს რეჟისორსაც უთქვამს: ამ მსახიობისთვის ამპლუა არ არსებობსო!

დიაღ, ამპლუა ზრ არსებობს და არც უნდა არსებობდეს! მხოლოდ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მსახიობს შეეძლოს ყოველგვარის როლის შესრულება. ნამდვილ მსახიობს არა აქვს ამპლუა, მას აქვს მხოლოდ ალღო და ტემპერამენტი. ამას გარდა მის ალღოსთან და ტემპერამენტთან დიდი დამოკიდებულება აქვს თვით მსახიობის ინდივიდუალურ თვისებას, მის პსიხოლოგიას. მსახიობმა შეიძლება მშვენივრად შეასრულოს ორი მოპირდაპირე, კონტრასტიული პიროვნება, იქნება იგი გმირი არშიყის, ნევრასტენიკის, ფატის თუ რეზონიორის როლი, მაშინ, როდესაც მსახიობის ალღოს, მის ტემპერამენტს შეეფერება და შეეთვისება განსასახიერებელი რომელიმე ტიპი. შეიძლება ეს ზოგიერთებმა მსახიობის კაპრიზად, მის მოწონება-დაწუნებად ჩასთვალოს, მაგრამ ეს სრულიად სიმართლეს მოკლებული იქნება. აქ არავითარ როლს არ თამაშობს არც მსახიობის კაპრიზი და არც მისი როლის დაწუნება და მოწონება. აქ დიდ როლს თამაშობს თვით მისი ინდივიდუალობა, მისი მიმართულება, თუ იგი რა ტიპის მსახიობია! ავიღოთ მაგალითად მსახიობნი ვლ. ალექსიმესხიშვილი და ვასო აბაშიძე. ორივენი მაღალ-ხარისხოვანი მსახიობნი არიან, დიდი ტალანტის პატრონები. პირველი ბუნებით საუცხოვო ტრაგიკია, მეორე კი საუცხოვო კომიკი. მიეცით ვლ. ალექსი-მესხიშვილს ბესოს ან საქოს როლი, ხოლო ვასო აბაშიძეს ჰამლეტი ან ურიელ აკოსტა! თუნდა ამისთანა მაგალითი: ნ. ჩხეიძე გამოიყვანეთ ხანუმაში, ელ. ჩერქეზიშვილი კი მარგარიტა გოტიეში! რას ბრძანებთ ამაზე?! შესაძლოა რომ მსახიობმა ყოველგვარი როლი შეასრულოს?! რასა ვნახავთ ჩვენ, თუ არა წმინდა კარიკატურას და ხელოვნების პროფანაციას?! ჩვენ ვერ მივიღებთ ვერავითარ ხატებას. დაიკარგება თვით ტიპი, ავტორი და მსახიობიც. ეს ჩემგან მოყვანილი მაგალითი ხომ წარმოუდგენელი და შეუძლებელი სურათია?! და შეუძლებელია ყოველივე ამ გვარი მოთხოვნილების შესრულება. ასეთი შეხედულობა და მოთხოვნილება ამტკიცებსუცოდ ნარობას, საქმის გაუგებრობას და საგნის ყალბ დასახას. მსახიობი უკვე იბადება ამა თუ იმ როლის დასახასიათებლად, რომელიმე პიროვნების შესაქმნელად. სიმართლეს მოკლებულია, ჩემის აზრით ისიც, ვითომ ტრაგიკოს შეეძლოს კომიკური როლის შესრულება. მართალია, ბევრჯელ ტრაგიკოსი თამაშობს რომელიმე კომიკურ როლს, მაგრამ კითხვა ამაშია: როგორ თამაშობს? მისი თამაში ახწევს თუ არა იმ მხატვრულ წერტილამდის, სადამდინაც ადის იგი ტრაგიკული პიროვნების შექმნის დროს? ნამდვილი ტრაგიკი—ნამდვილი კომიკი არ იქნება და ამიტომაც ვერ შესძლებს ელემენტარულად კომიზმის გარდმოცემას და თუ როგორმე შესძლო, უეჭველია, იგი გამსჭვალული იქნება ფარული ტრაგიზმით. ჩვენ თეატრალურ წრეში ბევრს ჰგონია, ვითომ ვლ. ალ.-მესხიშვილი კომიკურ როლის ჩინებული აღმსრულებელია და საბუთად ასახელებენ რასპლიუევს. განა რასპლიუევის როლი კომიკურია? მერე რაში გამოიხატება დაბეჩავებულ და ბედისაგან დაჩაგრულ რასპლიუევის კომიკური მდგომარეობა? იქნება იმაში, რომ გულ-მუცელს უბეგვავენ, ფეხქვეშ თელავენ?! ერთი შეხედვით რასპლიუევის პიროვნება გგონიათ კომიზმით არის აღსავსე, მაგრამ აბა დაუკვირდით, თუ მის კომიზმში როგორი ტრაგიზმია დამარხული! და თუ მისი პიროვნება ჩვენში სიცილს იწვევს, ეს სიცილი უნდა იყოს გოგოლის სიცილი „СМѢХЪ—СКВОЗЬ СЛЕЗЫ.“ იმიტომაც არის ჩვენი მიერ ნაცხებული ვლ. ალ.-მესხიშვილი რასპლიუევის როლში შეუდარებელი, რომ ტრაგიკოსმა იპოვა თავისი სფერო, თავისი ადგილი, გულმა გული იცნო და სულმა—სული და ჩასწვდა დაფარულ ადამიანის ტრაგედიას, რომლის ზევით მო-

ტივტივებს კომიზში, კომიზმი წარმოშობილი მსუსხავ გარემოებისაგან, აპრელებულ ცხოვრებისაგან რასპლიუევის არსებაში რომ ყოფილიყო დვილი კომიზმი,, მაშინ ვლ. ალ.-მესხიშვილი ვერ შესძლებდა მის ასე მხატვრულად დასურათებას, გაპიროვნებას, როგორადაც ამ ჟამად ვხედავთ. მიეცით მას რომელიმე წმინდა წყლის კომიკური როლი და ვლ. ალ.-მესხიშვილი სწრაფლ დაჰკარგავს თავის ღირსებას. მაღალი ნიჭის მსახიობი შეიქმნება უბუნებრივი და ტრივიალ მსახიობად, იგი გარდაიქცევა, უფრო ნათლად რომ ვსთქვად, ჭეშმარიტ ხელოვანიდან უბრალო ხელოსნად. ეს ერთი კიდევ იმის მაჩვენებელი მაგალითია, რომ მსახიობს თავის დღეში არ შეუძლიან, განურჩევლად რანაირი როლიც იყოს შეასრულოს, არ შეუძლიან იმიტომ, რომ მსახიობი არ არის მექანიკოსი, არ არის დურგალი ანუ კალატოზი, რომელსაც ბრძანებით და სურვილით გააკეთებინებთ რაიმე საგანს. მსახიობი კი არ აკეთებს, ამ სიტყვის სრულ ს მნიშვნელობით, არამედ ჰქმნის! იგი ხელოვანი, ხელოვანი თავისუფალი, რომელსაც განცალკევებული სფერო აქვს — მისწრაფება და ფანტაზია, თავ'ი ნაკარნახევი იდეები, რომელიც ასხამს თავის სულის ტემპზე და ჰქმნის ისე, როგორც პოეტი თავის შემოქმედებას, ნამდვილ მსახიობს, ვიმეორებ, არა აქავს ამპლუა, მას მხოლოდ და მხოლოდ ალღო და ტემპერამენტი აქვს. მსახიობი თუ შეიძლება ასე ვთქვათ, არის ერთგვარი კონკრეტული ინდივიდუუმი.

ვ. გარრიკი.

სცენა სცენისათვის

მეზობლები

გლახუნა კვაჭაძის ქვრივი სოფიო ალაგეზე მიადგა მეზობელს...

— მაპპინძელო!! იაკინთე!!.

ძახილზე პატარა ბიჭი გამოვიდა.

— ვინ ხარ მ.ქანაი, რომ ძახი?!

— მე ვარ, სოფიო. ნატალიე შინაა?! თუ შინაა, უთხარი ერთ წამს მნახოს აქანე ალაგეზე, რაცხა საქმე მაქვს შენთან თქვა...

რო გადიხედავდი ალაგეზე, თვალი გაგინათლდებოდა, ისე იყო ეზო გადამწვანებული კოლინდარით, იქაურობას წყლის ჩამური და ბეღელი ამშვენებდა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო სოფიო, რაა შე ქალო, დამიძვირე შენი ნახვა, ასე უნდა მეზობლობა!! რაც ჩემი ვალამაი სალდათად წეიყანეს, აღარ მეკარები, გული ხომ არ გადაგტრიალებია, ან ხომ არაფერი გიშოვნია.. ჩამოუხვიე ოჯო კონახში.. საცაა ზარმელზე დავჯდებით, ისეთი ღორის შაშხი მაქვს გაფიცხებული ღომით...

— არა, ჩემო ნატალია, ჩამოსასვლელათ სა მცალია მე უბედურს, ათასი საქმე მაქვს კისერზე.. რაცხა სათხოვნელი მქონდა და იმიზა შეგაწუხე, თვარა... შენი ჭირიმე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ეი შენი უფროსი გოგო ნუ მოგიკვდება და მის ბედნიერებას მოგაწიებს წმ. იაკინთეს მადლი, თუ გაქვს ნუ გ.მ წფილეფ და მაგიერში, ოჯო, მართლა, მთა-მთას არ მოხვება, თვარა კაცი, კაცს ყოველთვის...

არა არ შეგაწუხებდი, მარა ამ კვირაში ერთი წვეთი რაა, სულ მოსვენება არ იცის ჩემმა სულმა და ხორცმა. გული შეწუხებული მაქ ამ სტუმრებისაგან, დღე ერთია და იმათი მოსვლა ათასი. ასეა ყოველთვის, როცა შეიგულებენ ჩვენში გასათხოვ ქალს... ხო და სა მქონდა დროი რომ დამეწვა კალა და ქიზაფი, თუმცა დეეწვა თავი ჩვენ ვაჭრებს, რავა ცეცხლ მოკიდებულია ყველაფერი, გუნდა რაა, გუნდა — დარდანელიდან მოდისო... ახლა რამე ნაირად ხელი გამიწყვე და ერთი მიცხება... უმარული ჩემს თავსა ნუ გირჩევნია, შენი კაი ქმარი ნუ მოგიკვდება.

ამ დროს აკაკანდნენ ქათმები, აწიწინდენ წიწილები, აღრუტუნდენ ღორები, აყეფდენ ძაღლები, ატყდა საშინელი ღრიანცელი...

— სეირო, სეირო, სეირო, ტურამ ქათამი წეიღო, წეიღო! იაკინთავ, იაკინთავ! სა ჯანდაბაში ხარ, შენ არ გამოსასვლელო, ლურამ ქათამი წეიღო, წეიღო! პატარძალო, პატარძალო, ეპრაქსია — ეპრაქსია. ეი, შენ

არ გეიარე ზეით მიწას ცოცხალი, ვინცხამ შენ ჩემს ოჯახში შემოგიყვანა და დაგბუძლა, სამას სამოცდა ხუთმა მიქელ გაბრიელმა მთავარ ანგელოზმა, შეგიჩვენოს თუ არ შეგგდო ხარხაში ტურიზა ამ დროის საწყალი ვარიე..

ვასო ურუშაძე

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 25 ენკენ. წარმოადგინა „უმუშევარნი“ დრ. 4 მოქ. ბელოისი, თ.რ. ლ. ცაგარლისა. წარმოდგენას აკლდა აღფრთოვანება, მთლიანობა. ბ-ნ. პეპ-ნოვს ეტყობოდა როლი შეეგნო, მაგრამ მაინც სავსებით ვერ განასახიერა ნაკისრი როლის (ეგორი) ხატება, უმთავრესად ხელს უშლიდა კ-ლო. მეკუბოვეს ცოლიც (ბარათაშვილ.) ვერ იყო შესაფერი, მას არა აქვს სასცენო გამოთქმა, მხოლოდ „უკანასკნელ სცენაში იყო ბუნებრივი და ს ათანადო „თაბეჭდილებაც მოახდინა ვ. კობახიძე შეგნებით ასრულებდა ანიუტკას როლს, მაგრამ ბუნებრივობა აკლდა. სტეფანე მეკუბოვე (ვ. ნინიძე) მოისუსტებდა და ხანდისხან წაიმერულებდა. მოხდენილად შეასრულეს ქ-ნ-ა ქიქოძემ გლაშა და ბ-ნ ა. მეტრეველმა ვასია. შეუდარებელი იყო მოჯამაგირე გერასიმეს. რომანიშვილი. ხალხი საკმაოდ დაესწრო

სო-ლი

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა, უკვდავი კომედია მოლიერისა და ივ. მაჭავარიანის მიერ საუცხოვო ენით ნათარგმნი, სახალხო სახლში წრემ 29 ენკენ „ზაკაზით“ დაიწყო, ნ. გოცირიძემ (ორგანი) სიცოცხლე შემოიტანა, ტ. აბაშიძემ (დორინი) თვისი მაღალ ნიჭიერი თამაშით პიესას სული შთაბერა. გ. გედევანოვმა (ტარტიუფი) გვიჩვენა მსოფლიო ფარისეველაიძვერას მხატვრული ხატება, თ. ნარანიძე (მარი ა) და ვ. ნინიძე (ვალერი.) ერთი მეორის შესაფერნი იყვნენ და განსაკუთრებით ცხოვლად შეასრულეს შეხვედრის სცენა, გ. ჯაბაურშა (კლეანტი) და ა. მეტრეველმა (დამი) კეთილ სინდისიერად შეასრულეს თავისი როლები. მაგრამ ტლანქად ეტყობოდათ, რომ სხვის ტანისამოსში იყვნენ, რომანიშვილი-დგებუაძისამ (ორგანის ცოლი) მკაფიოდ გამოჭვეთა ბურჟუაზიულ ოჯახის ქალბატონი, ქნ-ი ბარათაშვილისა (ჰერნელი) სიჩუმის დროს უკეთესი იყო. გ. ანაშვილი (ლუიალი) არ უნდა იეიწყებდეს, რომ წელთა რაოდენობას გარეგნობა უნდა შეუწყოს და როდესაც სახე მკრთალი აქვს, ფაქიზ მოხელ-სა, შავი, ჭუჭყიანი ხელები არ შეეფერება. ამ სადამოს ყველაზე მეტი ძალა კი მოკარნახეს—მ. თუშმელიშვილს დაადგა. საწუხაროა, რომ ასეთ მშვენიერ ენით ნათარგმნ პიესის როლებს კარგად ვერ სწავლობენ; ხალხი საკმაოდ დაესწრო და ისიამოვნა კიდეც, მით უმეტეს, რომ წარმოდგენა ადრე გათავდა.

უსავანო

ბაქოს დრამტიული წრე ამ ბოლო ხანებში მაგრად მოეკიდა სათეატრო ხელოვნების გავრცელებას. უკვე 10 წ. შესრულდა, რაც ეს წრე არსებობს; მას შეძენილი აქვს მრ ვალი ისტორიული ტანისამოსები, მშვენიერი დეკორაციები და სხვ. თუმცა საკუთარი სცენა არ მოეპოება, მაგრამ მაინც ყოველთვის დაუბრკოლებლივ მართავს ქართულ წარმოდგენებს სხვა და სხვა ადგილობრივ თეატრებში, სადაც ხალხი ბლომად ესწ ება და კმაყოფილიც რჩება წელსაც ამ წრემ გააბედვით დაიწყო საქმე: რეჟისორად მოიწვია ვალ. შალიკაშვილი, მსახიობ-ქალად—მ. ქილარჯიშვილი და კვირას, 20 ენკენ სეზონი გახსნა „სამშობლოთი“, რომელმაც დიდძალი საზოგაოოება მიიზიდა. რაცა უნდა ვსთქვათ, ეს პიესა, საუკეთესოა ჩვენს ისტორიულ პიესებში, ყველაზე უფრო სცენიურია, არ არის გადაჭარბებული „პატრიოტული“, დედა აზრით კეთილშობილურია და სამართლიანადაც მოსწონს ხალხს... პიესა რამდენადაც გარეგნული მხრით იყო ლაზათიანად დადგმული, იმდენად მისი შეგნებით განსახიერებაში მოისუსტებდენ მოთამაშენი. საერთო ცოდვა გამოისყიდეს მხოლოდ ბ. ვალ. შ-ლიკაშვილმა (ლეონიძე) და ქ-ბ. ქილარჯიშვილმა (ქეთევან) ახობაძეს. (ხიმშიაშვილი) უგულო და გაყინულმა თამაშმა ვერ დაგვაკმაყოფილა. კარგები იყვნენ ბ. აწყურელი (შაჰაბასი) და ქ-ბ. გელოვანი (ფაიხოშ). აღსანიშნავია აგრეთვე ბ. პავლიაშვილი (გოგია) და ბ. ჯიქია (ისმაილ.)

ხალხი აუარებელი დაესწრო და ბევრიც უბილეთობის გამო უკან დაბრუნდა.

იო—ბი

ჟუთაისში გ. ტაბიძემ კვირას, 20 ენკენ. გამართა საღამო „საქართველოს ყვავილები“. ჰ. იაშვილმა. წაიკითხა მოხსენება საზღვარ გარეთის შთაბეჭდილების შესახებ. ომის დრო. დიდხანს შეჩერდა პარიზში მომმდარ ამბავთა აწერაზე, გარდმოგვცა პირადი შთაბეჭდილებანი ლონდონის და ჩრდილოეთ ქვეყნების შესახებ. მოხსენება არ იყო პოპულიარული: მომხსენებელი ხშირად ახსენებდა ისეთ მწერლებისა და მხატვრების სახელებს, მათთან შეხვედრას და საზოგადოთ ისეთ ენით ლაპარაკობდა, რომ ხალხისთვის ბევრი გაუგებარი დარჩა. ასეთი ფორმით მოყოლილი ამბავი სასურველია ვიწრო მეგობრულ წრეში და არა მრავალ რიცხოვან საზოგადოებაში. მომხსენებელს აქვს მშვენიერი ხმა, ლაპარაკობს ლამაზად და თავისუფლად. მსახიობებმა წარმოადგინეს „სიკვდილი ნაპოლეონისა,“ დრ. 1 მოქ. დ. ჩარკვიანი გარეგნობით ნათლად მოგვაგონებდა ნაპოლეონს. მომღერალმა ვ. ლორთქიფანიძემ მშვენივრად შეასრულა ქართული და რუსული იმღერები. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას იღებდენ შალვა დადიანი. ვარ. რუხაძე. გ. ტაბიძე, შ. დადიანი აკ. ფალავა. საზოგადოება ყველას ტაშის ცემით მიეგება, გ. ტაბიძეს მიართვეს ყვავილები. ჰ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი

ქალის, ელენა დარიანის, ლექსები, რომელთაც საზოგადოება გააკვირვეს თავის საოცრებით და გაბედულებით ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა.

თეატრი ხალხ თ სავსე იყო. კ — ო.

სოფ. შრომაში (სიღნაღის მაზ) „შრომა-ლ.-გოდეხის სცენის მოყვარეთა წრემ გ. ჩიკვაიძის გამგეობით 6 ენკენ. გამართა მე-7-დე მორიგი წარმოდგენა შრომის წიგნ საც ვ-სამკითხველოს სასარგებლოდ (25% შემოსავლიდან გადაიდო დაპრილ მეომართათვის). წარმოადგინეს: ს. ერთაწმინდელის დრ ეტ. 1 მოქ. „სიკვდილი ჩრდილოეთში“, ა. ცაგარლის „ჰკუისა მჭირს“ და აკაკის „ბუტიაობა„.

თავისი დაკვირვებულ და მოხდენილ თამაშით ყურადღებას იქცევდენ გ ჩიკვაიძე (დათიკო, გრიქურა და არისტო), ი. ბოსტაშვილი (გიორგი, ბუღდანა), ს. დონჯაშვილისა (გიორგის ცოლი), ი. ალავერდაშვილი (გიორგი) და ქ. ქიტიაშვილისა (სოფიო). ქ-ნი ზ. მუსლოვი ტიპიური იყო ბაბალეს როლში, მაგრამ ტასოს როლში კი მოისუსტებდა. ა. ვაჩნაძემ რამდენადაც დათიკოს როლი ჩაატარა უხეიროდ (მედავითასავით დააყარა), იმდენად მშვენიერი იყო სოსოში. დანარჩენები — ა. გოდერძიშვილი, ა. ტიგიშვილი და ა. ალავერდიშვილი ნსამბლს ხელს უწყობდენ.

წარმოდგენა გაიმართა ცის ქვეშ. ხალხი ბევრი დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დაიშალა ღამის $12^1/_2$ ს. წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ხშირად გაიგონებდით დამსწრეთა შორის: „კაცო, რა კარგი ყოფილა, თუ კიდე გამართეს, სახლში. როგორ დავდგებიო“. მადლობის ღირსნი არიან წრის ყველა წევრნი და აგრეთვე მათი ხელმძღვანელნი. ვუსურვებ შემდეგშიაც ჩვეულებრივი ენერგიით გაძღოლოდენ ამ ფრად სიმპატიურ საქმეს.

რეცენზენტი

გროზნის ქართველებსაც გვეწვია თავისი უტიფრობით განთქმული „არტისტი“ გ. მჭედლიშვილი: რამდენჯერმე იყო გროზნაში, ერთხელ გამოაცხადა ქართულ წარმოდგმნას ვმართავ და მხარი დამიჭირეთო. აქაურმა ქართველობამაც გამოიჩინა გულუხვობა, ფულით დაეხმარა, ბილეთებიც გაუყიდეს, მაგრამ „არტისტმა“ დანიშნული წარმოდგენა გაცადო, მეორედაც ასევე მოიქცა, ხოლო მესამედაც რო გვეწვია ჩვეულებრივ ფულების მოსაბოძავ დ, ეს-კი ვეღარ მოითმინეს და ხელი სტაცეს ამ ქართული ხ ლოვნების მსახურთა სახელის გამტეხელს, მაგრამ როცა სასამართლოში მიიყვანეს—გაიპარა, იმავე დღეს გრიმი გაეკეთებინა და გაქცეულ ყო ზოგიერთ ვაჟბატონთა დახმარებით. როგორც გადმოგვცეს, ასეთივე „არტისტობით“ გაუღვარცლია მოზდოკის, კავკავის, პეტროვსკისა და სხ. ქართველები. ჩვენი სცენის ჭეშმარიტი ქურუმები გაჭირვებულნი არიან, და ასეთი გაიძვერები-კი ხალხის გულუბრიყველობით უხვად სარგებლობენ! ნუ თუ შეუძლებელია ამ ვაჟბატონის ალაგმვა?

ან. ძ-ლი

წვრილი ამგები

გროზნის ქართველ ახალგაზდობას განუზრახავს ამ მოკლე ხანში გ მართოს ქართული წარმოდგენა აპარლების სასარგებლოდ.

პ. ირეთელის „ბედნიერი დღე“-ს ამ მოკლე ხანში წარმოადგენენ სახალხო სახლსა და საბურთალოს თეატრში.

მ. კავსაძის მომღერალ-მგალობელთა გუნდმა დაიწყო მოქმედება. გუნდი მოკლე ხანში დიდ სახალხო კონცერტს გამართავს სახალხო სახლში.

აჭარელთა სასარგებლოდ შესწირეს ს. შუბლაძემ-10 მ., ბ შენგელიამ 5 მ. ლ. ჩხაიძემ 1 მ. უცნობმ-2 მ.

ხელოსანთ კლუბის მამასახლისობა საბჭოდან გადააყენეს ბ-ნი ხარაზიანი ჯანჯისკარელის შეურაცხყოფისთვის, რომელმაც კლუბის ერთ ერთ საღამოზე სცენიდან წაკითხულ ლექსში კლუბის ხნე-ჩვეულებანი გაამათრახა.

ქართული თეატრის თანამედროვე მდგომარეობ ზე ქართ. კულტ ურის მოყვ. საზ-ის თაოსნობით კვირას, 4 ღვინობ სთვეს, დ. კასრაძე მოხსენებას წაიკითხავს.

ველის ციხეში აკაკის სახელობის უფასო სამკითხველო გაიხსნა 1 ღვინობისთვეს.

ხარფუხის კლუბმა მდგომარე სეზონისთვის მიიწვია სიმებიანი ორკესტრი (პრესმანის ლოტბარობით).

ახალ კლუბში საღამო იმართება წყ ლ დიდობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ქართველი ქალი მა ია ქრისტ. უგრელიძე, რომელმაც საზღვარ გარ დ მიიღო უმაღლ ი საექიმო განათლება, ოდესის უნივერსიტეტში გამოსცადეს და იქვე დასტოვეს ასისტენტად აბავშო კლინიკაში.

სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა წრემ 27 ენკენ. გადაიხა და პანაშვიდი ახლად გარდ. სცენის მოყვარის მ. ინაშვილის სულის მოსახსენებლად.

საქართველოს რუქის გამოცემა გადასწყვიტა წ. რ. საზ-მ.

ბათუმში დაიწყო 49 აჭარელის გასამართ ლება.

კ. გალმუნტი, რუსთა ცნობილი მგოსანი თბილ სს ჩამოვიდ . დღეს ლექციას წაიკითხავს „ვეფხ. ტყ“-ნის შესახებ.

ძუთაისის თეატრში — 1 2 ღვინობისთვეს —ზედიზედ ,,სინათლე,'' 3 ღვინობ. ,,კაიუს გრაკხუსი.''

მეჩიანურე ალ. ოგანეზაშვილმა, რომელიც ამას წინად სამხედრო სამსახურში გაიწვიეს სტავროპოლს, 30 მარიამ. მონაწილეობა მიიღო სათა-

დარიგო ბატალიონის მიერ გამართულ კონცერტში და პიანურზე დაუკრა რამდენიმე ჰანგი, რასაც დამსწრენი დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ. ოგანეზაშვილს დავალა, შეადგინოს სიმებიანი ორკესტრი.

ბუსთა შორის

✦ მსახიობ ქალის ვ. თ. კომისარჟევსკაიას ძეგლი პეტროგრადში აკურთხეს 17 ენკენისოვეს, მისი სახელოწოდების დღეს. ძეგლი ბრინჯაოსია, მარმარილოს კვარცხლიბეკზე, გაკეთდბულია მოქანდაკე ქალის დილოსის მიერ, მთელის ტანით.

მწიგნობრობა

აბდულ-მესიანი, იოანე შაგოელისა, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით და განმარტებით, ად. გრ. უგუზოვის კომოტეშა, № 1, შეტნიერული კომოტეშაა, მდიდარი ახსნა-განმარტებით. წიგნს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა (20 გვ.), ხოლო ოვით ბოეშა შეიტავს 31 გვ. განსაკუთრებით ძვირფასია ბოეშაში ნახმარ ძველ სიტყვათა და ზოგიერთ ადგილთა განმარტებანი (25 გვ.). მოზარდ თაობასა და აგრედვე უფროს იმას, ვისაც ჩვენი კლასიკური ლიტერატურის შესწავლა სწყურია, ეს წიგნი დიდს სამსახურს გაუწევს. წიგნი შედარებით ძვიერ ია ფია (78 გვ. 25 კაპ.) და ეგვალათვის ხელმისაწვდომი. სასურველია ასეთივე წესით გამოიცეს ჩვენ ძველ სხვა მწერალთა ნაწარმოებნი.

მესხეთი, წერილი მ. ჯანაშვილისა, ად. გრ. უგუზოვის კომოტეშა, № 2, სწორედ დროზე კომოტეშული და საჭიროა მისი გავრცელება, მით უმეტეს, რომ წიგნი შინაარსიანია, დაზარალებულ მესხთა სასარგებლოდ დაბეჭდილი და ოფალაც ღირს (23 გვ. 10 კაპ.). სიამოვნებით ვეკებებით ბ.ნ ად. გრ. უგუზოვის კეთილ დაწეებულებას, რომელმაც ჩვენს უწიგნობაში ასეთი მშვენიერი წიგნები (აბდულ მესიანი და მესხეთი) გამოსცა. **მწიგნობარი**

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Дозволено Военной Цензурой

ტფ. ქართ. ფილარ. საზ.

სამუსიკო სკოლა ალექსეევის ქ. ზელენიცკის სახ. № 4. მოწაფეთა მიღება 10—2 ს.-მდე ღღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. **სწავლის ფასი:** ფორტეპ. 70 მ. წელიწადში, სკრიპკა 75 მ., ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ სიმღერა 100 მ., თეორიის კლასები —15 მ. სწავლის ფასი ნახევარ წლობით წინდაწინ.

ხარუხის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელოქტროონით განათებული ბაღით

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან,—30 კ.ქალები და სტუდენტები—20 კ. წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., საბავშვო საღამო—5.—9 ს.

ჩვეულებრივ ვასწავლი

ქართულ სიმღერა—გალობას

— და ვამზადებ მომღერალ.-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, ლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ

მიხეილ ქავსაძესთან

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბათ., ოთხშაბათ და პარასკეობით საღამოს 6—9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს.

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ნომრები „ავროტრა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეული, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ვანნა). თბილისი, მიხეილის პრ. № 5. ტელეფ. 13—14 (წ)

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.